პროლეტარიატო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მეგრძელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

პარასკევი, 21 იანვარი, 1949 წ. № 14 (8317). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს შესრულდა 25 წელი ბოლშევიკური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალებიდან.

განვლილი მეოთხედი საუკუნის მანძილზე საბჭოთა ხალხი ლენინის საქმის დიდი განმგრძობის აძღანაგ სტალინის მეთაურობით განუხრელად ასრულებდა ლენინის ანდერძს და მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებანი მოიპოვა.

დიდი ლენინის დროშით, დიდი სტალინის წინამძღოლობით ჩვენი ხალხი კვლავაც მოიპოვებს ახალ-ახალ გამარჯვებას სრული კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ!

ჩვენი დიადი სამშობლო — საბჭოთა კავშირი წარმატებით აშენებს კომუნიზმს. ოცდაათ წელზე მეტია საბჭოთა ქვეყნის მშრომელებმა მოიშორეს მჩაგვრელთა და მუქთახორათა უღელი და შეუდგნენ სრულიად ახალი, თავისუფალი ცხოვრების მშენებლობას. უკვე აშენებულია კომუნიზმის პირველი ფაზა — სოციალიზმი. განხორციელებულია დიადი პრინციპი „თვითეულისაგან—უნარის მიხედვით, თვითეულს — შრომის მიხედვით“. შორს აღარ არის ის დრო, როცა ჩვენი ქვეყნის მშრომელები თავიანთ დროშაზე დააწერენ: „თვითეულისაგან—უნარის მიხედვით, თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით“. ეს იქნება სრული კომუნიზმი.

დიდი ლენინი ამბობდა:

„ძველი საზოგადოება დამყარებული იყო ასეთ პრინციპზე: ან შენ ძარცვავ სხვას, ან სხვა გძარცვავს შენ, ან შენ მუშაობ სხვისთვის, ან სხვა მუშაობს შენთვის, ან მონათფლობელი ხარ, ან მონა“.

აი ეს ძველი საზოგადოება მთელი თავისი ველური პრინციპებით სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას. საბჭოთა საზოგადოებაში ადგილი არა აქვთ მძარცველებს და გაძარცულთ, მონათმფლობელებს და მონებს. ჩვენი საზოგადოება შედგება მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობისაგან, რომლებიც მეგობრულად თანამშრომლობენ ურთიერთშორის და წინ მიყავთ საქმე.

კომუნიზმს ჩვენ ეაშენებთ დიდი ლენინის მოძღვრების მიხედვით, ლენინის საქმის გენიალური განმგრძობის დიდი სტალინის წინამძღოლობით. მეოთხედი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენგან წავიდა ლენინი, რაც ლენინის დროშით ჩვენ წინ მიგყეგართ სტალინს. განვლილმა პერიოდმა ახალი გამარჯვებანი, ახალი დიდება მოუპოვა ლენინიზმს.

ლენინიზმი გვასწავლის, რომ ბურჟუაზიისა და საერთოდ ყველა მჩაგვრელთა დამხობა, მუშათა კლასის გამარჯვება და ახალი, სოციალისტური საზოგადოების აშენება შეუძლებელია ახალი ტიპის პარტიის გარეშე, კომუნისტური პარტიის გარეშე. სწორედ ამიტომ ლენინი და სტალინი თავიანთი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისიდანვე მთავარ ყურადღებას აქცევდნენ კომუნისტური პარტიის შექმნას და გამოწრთობას. მათ კიდეც შექმნეს ძლავრი ბოლშევიკური პარტია, რომლის მეთაურობითაც ჩვენმა ხალხმა მოახდინა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება და ააშენა სოციალიზმი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ხალხის მტრებმა სწორედ პარტიაზე მიიტანეს გააფთრებული იერიში. პარტიამ ამხანაგ სტალინის მეთაურობით გააცამტვერა მტრების ყველა იერიში, გაწმინდა თავისი რიგები მტრყევთაგან, ოპორტუნისტებისაგან. ბოლშევიკური პარტია განვლილი 25 წლის მანძილზე უმაგალითოდ მტკიცე, მონოლითური გახდა. ძლავრი საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) ახლა ნიმუშია ყველა ქვეყნის მუშათა პარტიისათვის.

ეს არის ლენინიზმის ზეიმი.

ლენინიზმი გვასწავლის, რომ იმპერიალიზმის პერიოდში, როცა უაღრესად გამწვავდა წინააღმდეგობანი მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის, სხვადასხვა ქვეყნის მონოპოლისტთა შორის, მეტროპოლიებსა და კოლონიებს შორის, როცა კაპიტალიზმის განვითარებამ მეტად არათანაბარი, ნახტომებრივი ხასიათი მიიღო, სავსებით შესაძლებელია პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება და სოციალიზმის აშენება თავდაპირველად ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში. ეს გენიალური მოძღვრება გახდა ჩვენი პარტიის მთელი მოღვაწეობის საფუძველი. პარტია ხელმძღვანელობდა ამ მოძღვრებით, როცა ის წინ მიუძღოდა მასებს დიდი ოქტომბრის ისტორიულ დღეებში. პარტიას გზას უნათებდა ეს მოძღვრება, როცა ის ხელმძღვანელობდა საბჭოთა სახელმწიფოს შექმნას და განმტკიცებას. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ხალხის მტრებმა სწორედ ამ მოძღვრებაზე მიიტანეს განსაკუთრებით გააფთრებული იერიში. ამხანაგმა სტალინმა არა მარტო დაიცვა მტრების იერიშისაგან სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების ლენინური თეორია, არამედ კიდეც განავითარა, გამდიდრა და ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა იგი. ლენინის გარდაცვალებიდან განვლილმა 25 წელმა სავსებით დაადასტურა ამ გენიალური თეორიის სისწორე და დიადი ძალა. სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში უკვე აშენებულია.

ეს არის ლენინიზმის ზეიმი.

ლენინიზმი გვასწავლის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისა და სიმტკიცის საფუძველია პირველხარისხოვანი სოციალისტური ინდუსტრია და მოწინავე მსხვილი კოლექტიური სოფლის მეურნეობა. ლენინის გარდაცვალებიდან განვლილი 25 წლის მანძილზე ჩვენმა ხალხმა ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის სტალინური პოლიტიკის საფუძველზე, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის მეთაურობით, ძირფესვიანად შეუცვალა სახე ჩვენს სამშობლოს, მოაშორა მას საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის სამოსელი, შექმნა ძლავრი სოციალისტური ეკონომიკა. სოციალისტური ეკონომიკის უპირატესობა და ძალა განსაკუთრებული სიცხადით გამოჩნდა დიდი სამამულო ომის პერიოდში. საბჭოთა ეკონომიკამ გამარჯვება მოიპოვა მტრის ეკონომიკაზე ისევე, როგორც საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა გაიმარჯვეს მტრის შეიარაღებულ ძალებზე. სოციალისტური ეკონომიკის უპირატესობა და ძალა ცხადად ჩანს ომისშემდგომ პერიოდშიც. მაშინ, როცა კაპიტალისტური ეკონომიკა ომის შემდეგ არათუ წინ მიდის, არამედ სულ უფრო იხლართება წინაღმდეგობებში და კრიზისის წინაშე დგას, ჩვენი სოციალისტური ეკონომიკა, რომელმაც წარმატებით მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები, მძლავრ აღმავლობას განიცდის. ახალი სტალინური ხუთწლედის დავალებანი დიდი გადაჭარბებით სრულდება. შარშან, ხუთწლედის მესამე წელს, ჩვენი მრეწველობის პროდუქციამ უკვე გადააჭარბა ომამდელ დონეს. ომამდელ დონეს მიაღწია მარცვლეული კულტურების მოსავლიანობამაც. შექმნილია პირობები სოციალისტური ეკონომიკის კიდევ უფრო სწრაფი განვითარებისათვის.

ეს არის ლენინიზმის ზეიმი.

ლენინიზმი გვასწავლის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისა და სიმტკიცის საფუძველია მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, ჩვენი ქვეყნის მრავალრიცხოვან ეროვნებათა მშრომელების მეგობრობა და თანამშრომლობა. ლენინის გარდაცვალებიდან განვლილი 25 წლის მანძილზე ეკონომიკაში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად ძირფესვიანად შეიცვალა ჩვენი საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურაც. ლიკვიდირებულია არამშრომელი, კაპიტალისტური კლასების ნაშთები. დიდი ცვლილება განიცადეს მუშათა კლასმა და გლეხობამ, განმტკიცდა მათი კავშირი და თანამშრომლობა სოციალიზმის საფუძველზე. ჩვენი ხალხის საქმეს ერთგულად ემსახურება საბჭოთა ინტელიგენცია, რომელიც მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსული ადამიანებისაგან შედგება. ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად განხორციელების საფუძველზე დამყარდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა. ამრიგად, შეიქმნა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. საბჭოთა ხალხის ერთიანობა და სიმტკიცე განსაკუთრებული სიცხადით გამოჩნდა დიდი სამამულო ომის პერიოდში. განსაცდელის ჟამს ჩვენი მრავალეროვანი საშობლოს მუშები, გლეხები და ინტელიგენცია უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო და უმაგალითო გმირობა გამოიჩინეს ბრძოლასა და შრომაში, რამაც უზრუნველყო ჩვენი გამარჯვება. საბჭოთა ხალხის ერთიანობა და სიმტკიცე ცხადად ჩანს ომისშემდგომ პერიოდშიც. ჩვენი მუშები, გლეხები, ინტელიგენცია ძალონის დაუზოგავად იბრძვიან ახალი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, საბჭოთა საშობლოს შემდგომი გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის. ამიტომ ჩვენ წარმატებით ვძლევთ ყველა სიძნელეს და განუხრელად მივდივართ წინ.

ეს არის ლენინიზმის ზეიმი.

ლენინიზმი ყველა ჩვენი გამარჯვების გრანიტისებური საფუძველია.

ჩვენი სახალხო მეურნეობის აღმავლობასთან ერთად განუხრელად მაღლდება მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონე. ფულის რეფორმის გატარებისა და საბარათო სისტემის გაუქმების შემდეგ განვლილი ერთი წლის მანძილზე მუშათა რეალური ხელფასი ერთიორად გადიდდა. თვალსაჩინოდ გაიზარდა კოლმეურნე გლეხობის შემოსავალიც. თანდათან იქმნება მოხმარების საგნებისა და პროდუქტების ის სიუხვე, რაც აუცილებელია სრულ კომუნიზმზე გადასვლისათვის.

ამას ჩვენ მივაღწიეთ ლენინიზმისადმი ერთგულებით, ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით.

ჩვენი ქვეყანა მტკიცედ დგას მშვიდობიანობის სადარაჯოზე. უდიდესია მისი ავტორიტეტი და ძალა მთელ მსოფლიოში. საბჭოთა დიპლომატია წარმატებით ამეღვნებს ახალი ომის გამჩაღებლებს და რაზმავს ყველა ქვეყნის პროგრესულ ძალებს მტკიცე მშვიდობისათვის საბრძოლველად. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა მხურვალე მოწონებას და მხარდაჭერას პოულობს არა მარტო ჩვენს ხალხში, არამედ მთელი მსოფლიოს ათეულ და ათეულ მილიონობით უბრალო ადამიანში, რომელთაც ომი არ სურთ.

ამას ჩვენ მივაღწიეთ ლენინიზმისადმი ერთგულებით, ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით.

ლენინიზმი სულ უფრო და უფრო ღრმა გავლენას ახდენს მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე. რაც მეტი დრო გადის, მშრომელთა ახალ-ახალი მილიონები რწმნდებიან, რომ იმპერიალიზმის უღლისაგან თავის დაღწევისა და განთავისუფლების ერთადერთ სწორ გზას ლენინიზმი უჩვენებს. ლენინიზმის საფუძველზე აგებენ თავიანთ ცხოვრებას სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შედეგად წარმოიშვნენ. ამ ქვეყნებმა მოკლე დროში სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს მშრომელი ხალხის საკეთილდღეო სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში. საბჭოთა კავშირის მზრუნველი ხელშეწყობით და დახმარებით სახალხო დემოკრატიის ქვეყნები მტკიცედ დადგნენ სოციალიზმის გზაზე.

ეს არის ლენინიზმის დიდი ზეიმი.

ლენინიზმი კომუნიზმის გამარჯვების უძლეველი იარაღია. რაც უფრო უკეთესად დავეუფლებით ლენინიზმს, მით უფრო წარმატებით გადავწყვეტთ ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის მიერ დასახულ ამოცანებს, მით უფრო სწრაფად გადავალთ კომუნიზმში. ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ახლა უკეთესად, ვიდრე წინათ, ხელმძღვანელობენ კომუნისტების ლენინიზმით შეიარაღების საქმეს, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეს. უეჭველია, ისინი არ დაკმაყოფილდებიან მიღწეულით და კიდევ უფრო გააძლიერებენ ლენინიზმის პროპაგანდას, უკეთესად მოაწყობენ მარქსისტულ-ლენინური თეორიით ჩვენი კადრების შეიარაღების საქმეს. მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეს. ეს იქნება ახალ წარმატებათა მოპოვების მტკიცე გარანტია.

დიდი ლენინის დროშით, დიდი სტალინის წინამძღოლობით მოვიპოვეთ ჩვენ ყველა გამარჯვება კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. ამავე დროშით, დიდი სტალინის წინამძღოლობით ჩვენ ავაშენებთ სრული კომუნისტური საზოგადოების ნათელ შენობას.

გაუმარჯოს ლენინიზმს!

დიდება ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს!

ВЛАДИМИР ИЛИЧ-ЖЕ ЛЕНИНИ

ნახატი ჯ. ვასილევისა.

СССР КАВШИРИС МИНИСТРТА САБЧОСТАН АРСЕБУЛИ ЦЕНТРАЛУРИ СТАТИСТИКУРИ КОМИТЕТИС ЦНОБА

СССР КАВШИРИС САХАЛХО МЕУРНЕОБИС АღДგЕНИСА ДА ГАНВИТАРЕБИС 1948 წЛИС САХЕЛМწИПО გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის განვითარება, კაპიტალური მშენებლობა, საქონელბრუნვის გაზრდა და ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება 1948 წელს ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

I. წარმოების გეგმის შესრულება მრეწველობაში

წარმოების გეგმა 1948 წელს მრეწველობის საერთო პროდუქციის მიხედვით სამინისტროების მიერ შესრულებულია შემდეგნაირად:

	1948 წლის წლიური გეგმის შესრულების პროცენტი
მეტალურგიული მრეწველობის სამინისტრო	111
ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო	101
ნავთის მრეწველობის სამინისტრო	108
ელექტროსადგურების სამინისტრო	103
ქიმიური მრეწველობის სამინისტრო	116
ელექტრომრეწველობის სამინისტრო	115
კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტრო	106
მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო	107
საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის სამინისტრო	115
დაზგათმშენებლობის სამინისტრო	108
მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრო	109
სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	126
სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	113
სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	105
სსრ კავშირის სამენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	112
სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო	111
სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	106
სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტრო	100
სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	100
სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრო	108
სსრ კავშირის საგემოვნო მრეწველობის სამინისტრო	104
მოკავშირე რესპუბლიკათა ადგილობრივი და ადგილობრივი სათბობის მრეწველობის სამინისტროები	105
სარეწო კოოპერაცია	101

სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის 1948 წლის გეგმა შესრულებულია 106 პროცენტით. ხუთწლედის პირველი სამი წლის გეგმა სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის მიხედვით 1946, 1947 და 1948 წლებში შესრულებულია 103 პროცენტით.

1948 წელს ვეგმის გადამეტებით გამოშვებულია მნიშვნელოვანი რაოდენობის სამრეწველო პროდუქცია, მათ შორის შავი და ფერადი ლითონები, ქვანახშირი, ბენზინი, ელექტროენერგია, დიზელები, ნავთის

(დასასრული მეორე გვერდზე)

საქართველოს კომპარტიის (ბ) XIV ყრილობის გახსნისათვის

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი აუწყებს საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატებს, რომ **ყრილობა გაიხსნება 25 იანვარს, საღამოს 7 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში.**

* * *

ყრილობის დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 23 და 24 იანვარს დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდე და 25 იანვარს დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შენობაში (შოთა რიტაძის ქუჩა № 5).

საორგანიზაციო კომისიის ტელეფონები: 3-71-20, 3-92-80.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 1949 წლის 19 იანვარს გარდაიცვალა ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილი, გამოჩენილი საბჭოთა მწერალი ალექსანდრე სერაფიმეს-ძე სერაფიმოვიჩი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1948 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

(დასასრული)

ძროვები, ელექტრომოტორები, ბურთობსაკისარები, ლითონსაჭრელი დაზგები, მაღნის დასატვირთი მანქანები, ტურბობურღები, დგუშები, კომპრესორები, ორთქლმავლები, სამგზავრო ვაგონები, ელექტროხერხები, ხის ჩარჩოები, ტროლეიბუსები, ავტობუსები, ექსკავატორები, მოტორიანი სატკეპნები, ბეტონსარევები, მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ტელეგრაფის აპარატები, რადიოსატრანსლაციო დანადგარები, წინდის ავტომატები, კუსტიკური და კალციფირებული სოდა, მინერალური სასუქები, სალებავები და სხვა ქიმიკატები, კაუჩუკი, ავტოსამუშაოები, ქაღალდი, ფანერა, ასანთი, შიფერი, ფანჯრის მინა, რბილი სახურავი, ბამბის, შალის, სელისა და აბრეშუმის ქსოვილები, მცენარეული ზეთი და ერბო-კარაქი, სპირტი და ბევრი სხვა სახის სამრეწველო პროდუქცია.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში მიმდინარე წელს წარმატებით ხდებოდა ახალი მაღალნაყოფიერი სახის მანქანების, მექანიზმების, აპარატებისა და ხელსაწყოების, აგრეთვე მოწინავე ტექნოლოგიური და საწარმოო პროცესების ათვისება და დანერგვა.

თუმცა მრეწველობამ მთლიანად საერთო პროდუქციის და ნატურით სამრეწველო პროდუქციის მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეთა წარმოების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, მაგრამ ცალკეულმა სამინისტროებმა ვერ შეასრულეს გეგმა პროდუქციის ზოგიერთი მნიშვნელოვანი სახის მიხედვით.

მეტალურგიული მრეწველობის სამინისტრომ ვერ შეასრულა ფოლადის ბაგირის წარმოების წლიური გეგმა; საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის სამინისტრომ — მუხუჟი ავტომანქანებისა; მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრომ—ორთქლის ტურბინებისა და მეტალურგიული აშენებისა; სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ — თბომავლებისა; დაზგათმშენებლობის სამინისტრომ — ზოგიერთი სახის დაზგებისა; მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრომ — ქიმიური მოწყობილობისა და საფეიქრო მანქანებისა; სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ — ტრაქტორის სათესი მანქანებისა და კულტივატორებისა; ელექტრომრეწველობის სამინისტრომ — სამგზისტრალო ელექტრომავლებისა და ზოგიერთი ტიპის ელექტროგენერატორებისა; სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრომ—შპალებისა.

II. სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდა

უმნიშვნელოვანეს სახეთა სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1948 წელს 1947 წელთან შედარებით შეიცვალა შემდეგნაირად:

	1948 წელი პროცენტებით 1947 წელთან შედარებით
თუჯი	122
ფოლადი	128
ნაგლინი	128
რკინიგზის რელსები	134
რკინის მილები	139
სპილენძი	120
თუთია	136
ტყვია	102
ქვანახშირი	114
ნავთობი	113
ბენზინი	112
ნავთი	117
ბუნებრივი გაზი	110
ელექტროენერგია	116
სამგზისტრალო ორთქლმავლები	153
სამგზისტრალო სატვირთო ვაგონები	145
ტროლეიბუსები	174
სატვირთო ავტომანქანები	143
მსუბუქი ავტომანქანები	210
ავტობუსები	142
ბურთობსაკისარები	128
მეტალურგიული მოწყობილობა	194
ექსკავატორები	284
ორთქლის ტურბინები	117
ელექტრომოტორები 100 კილოვატამდე	159
ელექტრომოტორები 100 კილოვატს ზევით	153
ლითონსაჭრელი დაზგები	124
მათ შორის სპეციალური და სააგრეგატო	142
სავატერო მანქანები	205
საფეიქრო დაზგები	178
ტრაქტორები	204
სასოფლო-სამეურნეო მანქანები	199
მარცვლეულის კომბაინები	5.1 ჯერ
ტრაქტორის ფუთნები	224
ტრაქტორის სათესი მანქანები	211
ტრაქტორის კულტივატორები	131
რთული სალეწი მანქანები	267
კაუსტიკური სოდა	125
კალცინირებული სოდა	144
მინერალური სასუქი (სუპერფოსფატი, აზოტიანი და კალიუმიანი)	143
სინთეზური საღებავები	135
სინთეზური კაუჩუკი	179
ავტოსაბურავი	138
სამასალე მერქნის გამოზიდვა	133
ქაღალდი	120
ცემენტი	137
შიფერი	135
ფანჯრის მინა	120
რბილი სახურავი	119
აგური	156
ბამბის ქსოვილი	124
შალის ქსოვილი	128
ტყავის ფეხსაცმელი	123
რეზინის ფეხსაცმელი	137
წინდის ნაწარმი	144
ხორცი	125
თევზი	102
ერბო-კარაქი	137
მცენარეული ზეთი	133
შაქარი	170
საპონი	145
სპირტი	150

სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1948 წელს 1947 წელთან შედარებით 27 პროცენტით გაიზარდა და ომამდელ, 1940 წლის დონეს გადაჭარბა 18 პროცენტით.

1948 წელს შესრულებულია მომარაგების სახელმწიფო გეგმა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფა ნედლეულით, მასალით, სათბობით, ელექტროენერგიითა და მოწყობილობით.

მრეწველობის ბევრმა დარგმა 1948 წელს მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა მოწყობილობის, ნედლეულის, სათბობისა და მასალის გამოყენების სახელმწიფო გეგმით დადგენილი საშუალო პროგრესიული ნორმები. მრეწველობის მთელ რიგ დარგებში მოწყობილობის გამოყენების ნორმები 1948 წელს უფრო მაღალი იყო, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში ბრძმედების სასარგებლო მოცულობის გამოყენება 1940 წელთან შედარებით 13 პროცენტით გაუმჯობესდა, მარტენის ღუმელების ქვეშის ერთი კვადრატული მეტრი ფართობიდან ფოლადის მიღება ომამდელთან შედარებით 12 პროცენტით გადიდდა.

ნავთის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში ნავთის ჰიდრირაფინირების საექსპლოატაციო ბერეგის სიჩქარე 1940 წელთან შედარებით 28 პროცენტით გადიდდა. ომამდელთან შედარებით გაუმჯობესდა სსრ კავშირის საშენი მასალების მრეწველობის სამინისტროს ცემენტის ქარხნების სიმძლავრეთა გამოყენება. 1940 წელთან შედარებით სათბობის ხარჯვა გამომუშავებულ ერთ კილოვატსაათ ელექტროენერგიაზე ელექტროსადგურების სამინისტროს რაიონულ ელექტროსადგურებში 5 პროცენტით შემცირდა.

ამავე დროს მრეწველობის მთელი რიგი დარგები მთლიანად არ იყენებენ არსებულ სიმძლავრეებს. ქვანახშირის მრეწველობაში მიღწეული არ არის საყელური მანქანების გამოყენების სახელმწიფო გეგმით დადგენილი ნორმები. ნავთის მრეწველობამ ვერ მიაღწია საძიებო ბურღვის წლიური გეგმით დადგენილ სიჩქარეს. საფეიქრო მრეწველობამ ვერ შეასრულა ძირითადი მოწყობილობის ნაყოფიერების გეგმა.

1948 წელს ფართოდ გაჩაღდა ახალი პატრიოტული მოძრაობა შინაგარესურსების მობილიზაციისათვის, საწარმოთა მუშაობის რენტაბელობისათვის, ზეგეგმითი დაგროვებისათვის. სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების 1948 წლისათვის დადგენილი გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულმა საერთო ზეგეგმითმა ეკონომიამ 1948 წელს 6 მილიარდ მანეთზე მეტი შეადგინა.

III. სოფლის მეურნეობის აღმავლობა

სოფლის მეურნეობაში, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების საფუძველზე, 1948 წელს ახალი მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული.

ვოლგისპირეთის მეტწილ რაიონებში არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, მარცვლეული კულტურების საერთო მოსავლმა მთლიანად სსრ კავშირში შეადგინა 7 მილიარდზე მეტი ფუთი და, მაშასადამე, ცოტა დააკლდა ომამდელ 1940 წლის დონეს, ხოლო მარცვლეული კულტურების საშუალო მოსავლმა ერთ ჰექტარზე ომამდელ დონეს გადაჭარბა.

1948 წლის მოსავლისათვის ნათესი ფართობის ზრდა 1947 წელთან შედარებით შეადგენდა 13,8 მილიონ ჰექტარს, აქედან მარცვლეული კულტურებისა—10 მილიონ ჰექტარს.

1949 წლის მოსავლისათვის საშემოდგომო თესვის სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. 1948 წელს საშემოდგომო ნათესები 1949 წლის მოსავლისათვის თითქმის 3 მილიონი ჰექტარით მეტია, ვიდრე 1947 წელს. 1949 წლის მოსავლისათვის 1948 წელს მზრალად მოხნულია 17 მილიონი ჰექტარით მეტი, ვიდრე 1947 წელს.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა 1948 წელს კოლმეურნეობებში 23 პროცენტით მეტი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შეასრულეს, ვიდრე 1947 წელს. ტრაქტორთა გამომუშავება 1947 წელთან შედარებით გაიზარდა და 1940 წლის გამომუშავებაზე 13 პროცენტით მეტია.

1948 წელს გაძლიერდა კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ტემპი, მნიშვნელოვნად გადიდდა პირუტყვის სულადობა და მიღწეულია მეცხოველეობის პროდუქტიულობის სერიოზული ზრდა. კოლმეურნეობებში პირუტყვის სულადობა 1949 წლის 1 იანვრისათვის 1948 წლის 1 იანვართან შედარებით გადიდდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა—23 პროცენტით, ღორისა—75 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—16 პროცენტით და ცხენისა—15 პროცენტით.

გადიდდა აგრეთვე კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა პირადი სარგებლობის პირუტყვის სულადობა.

სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ეელიანი და ტყეველიანი ზონის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სატყეო მეურნეობებმა, რომლებიც ემზადებოდნენ მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის დანერგვისათვის დიდი მოცულობის სამუშაოთა შესასრულებლად და ასრულებდნენ მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, 1948 წლის შემოდგომაზე მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ტყესაცავი ზოლების გასაშენებლად, 1949 წელს ტყესაცავი ზოლების გაშენებისათვის მიწების მოსამზადებლად, ხისა და ბუჩქის ჯიშების თესლის შესაგროვებლად, სატყეო სანერგეების მოსაწყობად და ნათესბალახიანი თესლბრუნვის შემოსაღებად.

სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ეელიან და ტყეველიან რაიონებში 1948 წელს ტყესაცავი ზოლები გაშენდა 199 ათას ჰექტარ საერთო ფართობზე, მომზადებული ნიადაგი 1949 წელს ტყის დასარგავად 270 ათას ჰექტარ ფართობზე, სატყეო სანერგეებში გამოყვანილია 1.869 მილიონი ნერგი, კოლმეურნეობების მიერ მოწყობილია 2.800-ზე მეტი გუბურა და წყალსაცავი.

მნიშვნელოვნად გადიდდა სოფლის მეურნეობის მომარაგება საწვავით, მინერალური სასუქებითა და მანქანებით. სოფლის მეურნეობამ გასულ წელს სახელმწიფოსაგან მიიღო ერთისამად მეტი ტრაქტორი, ერთიორად მეტი ავტომობილი, ერთიორად მეტი სასოფლო-სამეურნეო მანქანა, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

IV. რკინიგზის, სამდინარო და საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვის ზრდა

1948 წელს 1947 წელთან შედარებით რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 27 პროცენტით გადიდდა და ომამდელი 1940 წლის დონეს გადაჭარბა. 1948 წელს 1947 წელთან შედარებით რკინიგზებზე საშუალო საღღეღამისო დატვირთვა 19,3 პროცენტით გადიდდა. 1947 წელთან შედარებით მაგი ლითონების საშუალო საღღეღამისო დატვირთვა გადიდდა 23 პროცენტით, მაღნისა — 19 პროცენტით, კოქსისა—17 პროცენტით, ნავთობისა—16 პროცენტით, ქვანახშირისა—7 პროცენტით, მარცვლეულისა—31 პროცენტით, ფქვილისა—59 პროცენტით, მარილისა—14 პროცენტით, ხე-ტყის ტვირთისა—36 პროცენტით, ცემენტისა—33 პროცენტით. 1948 წელს საშუალო საღღეღამისო დატვირთვის საერთო გეგმა რკინიგზის ტრანსპორტზე შესრულებულია 104 პროცენტით.

1948 წელს რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებასთან ერთად რკინიგზებმა ვერ გამოიყენეს მთელი არსებული შინაგარეზერვები. სატვირთო ვაგონის მიმოქცევის საშუალო დრო 1948 წელს დაწესებულ ნორმაზე მაღალი იყო, უმთავრესად დატვირთვისა და გადმოტვირთვის დროს ვაგონების ხანგრძლივი მოცდენის გამო.

საშინაო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვა 1948 წელს 1947 წელთან შედარებით 29 პროცენტით გადიდდა; სამდინარო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვის წლიური გეგმა შესრულებულია 106 პროცენტით.

საზღვაო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვა 1948 წელს 1947 წელთან შედარებით 11 პროცენტით გადიდდა; საზღვაო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვის წლიური გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით.

საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 1948 წელს 1947 წელთან შედარებით 23 პროცენტით გაიზარდა და თითქმის ერთნახევარჯერ გადაჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს.

V. კაპიტალურ სამუშაოთა ზრდა სახალხო მეურნეობაში

ყველა კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1948 წელს 1947 წელთან შედარებით 123 პროცენტს შეადგენდა; აქედან ქვანახშირის მრეწველობისა—129 პროცენტს, მეტალურგიული მრეწველობისა—131 პროცენტს, ელექტროსადგურებისა—120 პროცენტს, მანქანათმშენებლობისა—115 პროცენტს, მსუბუქი და კვების მრეწველობისა—132 პროცენტს, ტრანსპორტისა—111 პროცენტს და საბინაო მშენებლობისა—136 პროცენტს.

1946, 1947 და 1948 წლებში აგებული, აღდგენილი და ამოშავებულია დაახლოებით 4.000 სახელმწიფო სამრეწველო საწარმო.

1948 წლის მანძილზე სამინისტროები და უწყებები მუშაობდნენ იმისათვის, რომ თავი მოეყარათ მატერიალური და საფინანსო რესურსებისათვის, აგრეთვე მუშახელისათვის უწონარეს ყოვლისა ასამუშავებელ მშენებლობებზე, მაგრამ ზოგიერთი მშენებლობა საექსპლოატაციოდ ვერ იქნა გადაცემული სახელმწიფო გეგმით დადგენილ ვადებში.

ომისშემდგომი ხუთწლედის სამი წლის მანძილზე ქალაქებსა და მუშათა დაბებში სახელმწიფო საწარმოებმა, დაწესებულებებმა და აღდგენობრივმა საბჭოებმა, აგრეთვე მოსახლეობამ სახელმწიფო კრედიტის დახმარებით ააგეს და აღადგინეს ბინები დაახლოებით 51 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობით.

1946, 1947 და 1948 წლების მანძილზე სოფელადგილებში აგებული და აღდგენილია 1.600 ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი.

VI. საქონელბრუნვის გაშლა

ბარათების გაუქმების შემდეგ საბჭოთა ვაჭრობის გაშლის საფუძველზე სასურსათო და სამრეწველო საქონლის გაყიდვა სახელმწიფო და კოოპერაციული საცალო ვაჭრობის ქსელში 1948 წელს მნიშვნელოვნად გადიდდა 1947 წელთან შედარებით, აქედან პურის გაყიდვა—56 პროცენტით, შაქრისა—ერთიორად, საკონდიტრო ნაწარმისა—45 პროცენტით, ბამბის ქსოვილებისა—56 პროცენტით, აბრეშუმის ქსოვილებისა—29 პროცენტით, ფეხსაცმლისა—45 პროცენტით.

1948 წელს მნიშვნელოვნად გაფართოდა საეჭვრო ქსელი. წლის განმავლობაში სახელმწიფო და კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა ახლად ეახლნენ 35 ათასი მაღაზია და ფარდული.

საკოლმეურნეო ბაზრებზე გაყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გადიდდა 1947 წელთან შედარებით და ბევრად გადაჭარბა ომამდელ დონეს. განსაკუთრებით გადიდდა ხორცის, რძის პროდუქტებისა და ბოსტნეულის გაყიდვა.

ქალაქებში კოოპერაციული ვაჭრობის გაშლის შესახებ მთავრობის გადაწყვეტილებიდან განვლილი ორი წლის მანძილზე კოოპერაციული ბაზრის ფასები ერთისამად შემცირდა, ხოლო საკოლმეურნეო ბაზრის ფასები იმავე პერიოდში შემცირდა ერთიოთხად და უფრო მეტად.

VII. მანეთის მყიდველობითი უნარისა და რეალური ხელფასის ზრდა

1947 წლის დამლევს ფულის რეფორმისა და სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფიმარაგების საბარათო სისტემის გაუქმების გატარებასთან ერთად, გაუქმებულია კომერციული ვაჭრობის მაღალი ფასები და შემოღებულია სურსათისა და სამრეწველო საქონლის ერთიანი შემცირებული სახელმწიფო საცალო ფასები.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საერთო აღმავლობასა და მოხმარების საგნების წარმოების ზრდასთან დაკავშირებით, 1948 წლის აპრილში ფანხრეულად მთელი რიგი საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების შემცირების მეორე ეტაპი და 1948 წლის დამლევს მოხდა ზოგიერთი საქონლის ფასების შემდგომი შემცირება.

სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების შემცირებისა და ამის გამო კოოპერაციულ ვაჭრობასა და საკოლმეურნეო ბაზარზე ფასების დაახლოების შედეგად, მანეთის მყიდველობითი უნარი ერთიორად გაიზარდა.

ამის გამო, აგრეთვე ფულადი ხელფასის ზრდასთან დაკავშირებით, მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი 1948 წელს 1947 წელთან შედარებით ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა.

VIII. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის გადიდება და შრომის ნაყოფიერების ზრდა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 1948 წელს 1947 წელთან შედარებით 2 მილიონით გადიდდა და ომამდელი 1940 წლის დონეს 10 პროცენტით გადაჭარბა.

მრეწველობის მეტწილ დარგებში შესრულებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის 1948 წლისათვის სახელმწიფო გეგმით დადგენილი დავალება. მუშა-მოსამსახურეთა შრომის ნაყოფიერება 1948 წელს 1947 წელთან შედარებით 15 პროცენტით გაიზარდა და ომამდელ დონეს გადაჭარბა.

მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი 1948 წელს 1947 წელთან შედარებით 10 პროცენტით გადიდდა, მათ შორის მრეწველობის მუშათა ხელფასის ფონდი—15 პროცენტით და მშენებლობისა—24 პროცენტით.

1948 წელს სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლები და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები დაამთავრა და მრეწველობაში, მშენებლობაში და ტრანსპორტზე სამუშაოდ გაიგზავნა ერთი მილიონი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა.

წარმოებაში ინდივიდუალურ-ბრიგადული მოწყობისა და კურსებზე სწავლების გზით 1948 წელს მომზადდა 2,3 მილიონი ახალი კვალიფიციური მუშა და წარმოებაში კვალიფიკაცია ამაღლა 3,8 მილიონმა კაცმა.

IX. კულტურული მშენებლობა, ჯანმრთელობის დაცვა და საყალაქო კეთილმოწყობა

1948 წელი ხასიათდება კულტურული მშენებლობის შემდგომი განვითარებით და მმართველთა კულტურული დონის ამაღლებით.

დაწყებით, შვიდწლიან და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 1948 წელს 1947 წელთან შედარებით 2 მილიონით და ბეტით გაიზარდა.

სტუდენტთა რიცხვმა უმაღლეს სასწავლებლებში მიაღწია 734 ათას კაცს, რაც 1940 წლის რიცხვს 26 პროცენტით აღემატება. გარდა ამისა, 270 ათასი სტუდენტი სწავლობს დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებში. 1948 წელს უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა 122 ათასმა კაცმა; ახალგაზრდა სპეციალისტთა ეს გამოშვება 20 ათასით მეტია ომამდელი 1940 წლის გამოშვებაზე.

ტექნიკუმებსა და სხვა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეთა რიცხვმა მიაღწია 1.094 ათას კაცს, იაც 1940 წლის რიცხვს 33 პროცენტით აღემატება. 1948 წელს ტექნიკუმები და სხვა საშუალო სპეციალური სასწავლებლები დაამთავრა 252 ათასმა კაცმა, ე. ი. 44 ათასით მეტმა, ვიდრე 1940 წელს.

უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების კურსდამთავრებული და სახალხო მეურნეობაში მომუშავე სპეციალისტების საერთო რიცხვი 1948 წელს 55 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

1948 წელს გაიზარდა სამკურნალო დაწესებულებების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელი. საავადმყოფოებში საწოლთა რიცხვი 1947 წელთან შედარებით 27 ათასით გადიდდა, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ადგილების რიცხვი —28 ათასით; 1948 წელს 1947 წელთან შედარებით ექვმთა რიცხვი 24 ათასით გაზიდდა.

ომისშემდგომი ხუთწლედის სამი წლის მანძილზე აღდგენილი და ახლადაგებულია წყალსადენები და წყალსადენი ქსელები 151 ქალაქსა და მუშათა დაბაში, ტრამვაი—15 ქალაქში, ტროლეიბუსი — 5 ქალაქში, გაზიფიცირებულია 195 ათასი ბინა, დიდი მუშაობა ჩატარდა ქალაქების გასამწვანებლად.

X. მეურნეობის აღდგენა იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს

1948 წელს იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, შესრულებულია კაპიტალური სამუშაოები 30 მილიარდი მანეთის ოდენობით, არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ჩაუთვლელად.

1948 წელს იმ რაიონების მრეწველობის საერთო პროდუქცია, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, 1947 წელთან შედარებით 41 პროცენტით გადიდდა, ამასთან თუჯის გამოდნობა გადიდდა 41 პროცენტით, ფოლადის გამოდნობა—66 პროცენტით, ნაგლინის წარმოება —65 პროცენტით, ელექტროენერგიის გამომუშავება—31 პროცენტით, ცემენტის წარმოება — 49 პროცენტით, შაქრის წარმოება—75 პროცენტით, ქვანახშირის ამოღება დონბასში—21 პროცენტით.

გერმანული ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში 1948 წელს აგებული და აღდგენილია ქალაქებში 8 მილიონ კვადრატულ მეტრამდე ფართობი საცხოვრებელი ბინები და სოფელადგილებში — 300 ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი.

XI. სამრეწველო წარმოების ზრდა მოკავშირე რესპუბლიკებში

მოკავშირე რესპუბლიკების მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოება 1948 წელს 1947 წელთან შედარებით მეიცვალა შემდეგნაირად:

	1948 წელი პროცენტებით 1947 წელთან შედარებით
რუსეთ	126
უკრაინის სსრ	143
ბელორუსიის სსრ	144
უზბეკეთის სსრ	113
ყაზახეთის სსრ	110
საქართველოს სსრ	116
აზერბაიჯანის სსრ	113
ლიტვის სსრ	134
მოლდავეთის სსრ	138
ლატვიის სსრ	141
ყირგიზეთის სსრ	115
ტაჯიკეთის სსრ	120
სომხეთის სსრ	122
თურქმენეთის სსრ	95
ესტონეთის სსრ	135
კარელია-ფინეთის სსრ	141

1948 წელს სამრეწველო პროდუქციის წარმოება გაიზარდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, გარდა თურქმენეთის სს რესპუბლიკისა, რომლის ძირითადი სამრეწველო ცენტრი ქ. აშხაბადი 1948 წლის შემოდგომაზე მიწისძვრისაგან დაზარალდა.

* * *

1948 წელს—ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს მიღწეული და გადაჭარბებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ომამდელი დონე.

1947 წლის დამლევს ჩატარებულმა ფულის რეფორმამ და მოსახლეობის მომარაგების საბარათო სისტემის გაუქმებამ ხელსაყრელი წინაპირობები შექმნეს სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის დასაჩქარებლად.

ომისშემდგომი ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მძლავრი საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების შედეგად წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა 1948 წლის სახელმწიფო გეგმა და შეიქმნა საჭირო პირობები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი ზრდისა და ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

დიდი ლენინის იდეები ანათებენ კომუნიზმის გზას

ის ახლაც ცოცხალია

ახლა, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა ლენინის დღეებს აღნიშნავს, თბილისის მშრომელები კვლავ და კვლავ უწყვეტ ნაკადად მიედინებიან ლენინის მუზეუმისაკენ. ლენინიზმის იდეების პროპაგანდის ამ წმიდათა წმიდა კერაში ასეულ ათასობით მშრომელები გულისყურით ათვალიერებენ დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ძვირფას მასალებს.

რევოლუციური დოკუმენტების ამ ზღვა მასალებში ლენინი და სტალინი მოსჩანან როგორც პროლეტარული რევოლუციის უდიდესი ბელადები, რომლებმაც თვითმპყრობელობის შავბნელი რეაქციის წლებში, ომისა და რევოლუციების ხანაში გამარჯვების გზით წაიყვანეს ჩვენი ქვეყანა, თავისუფლება მოუპოვეს მშრომელებს.

მუზეუმის პირველი დარბაზიდანვე ეცნობით ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ვლადიმერ ულიანოვს, სიმბირსკის გიმნაზიის მოწაფეს, რომელიც ოჯახური უბედურების მიუხედავად ოქროს მედალზე ამთავრებს სასწავლებელს. იგი ადრევე ეცნობა მარქსიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებს და ებმება რევოლუციურ მუშაობაში. სტუდენტთა რევოლუციურ გამოსვლაში მონაწილეობისათვის ყაზანის უნივერსიტეტიდან გამორიცხული ვალოდია ულიანოვი კვლავ დაუცხრომელ მუშაობას იწევს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

როგორ ჰგავს ერთმანეთს ლენინისა და სტალინის ბავშვობა! მომდევნო დარბაზში ეცნობით ახალგაზრდა სტალინის ცხოვრებას. გორის სასულლიერო სასწავლებლის დამთავრებას შემდეგ იგი თბილისის სასულიერო სემინარიაში შედის, სადაც მას რევოლუციური გამოსვლების მოწყობისათვის სასწავლებლიდან რიცხავენ. მაგრამ ჭაბუკი სტალინი უფრო გაბედულად ებმება რევოლუციურ მუშაობაში.

მშრომელი ხალხისადმი მეზნებარე სიყვარულის, მჩაგვრელთა წინაშე ქედუხრელობის, გასაოცარი გამბედაობის უბადლო მაგალითებით არის აღსავსე ლენინისა და სტალინის მთელი ცხოვრება. აი, ლენინური „ისკრის“ პირველი ნომერი, აქვე კავკასიელ „ისკრელთა“ ჯგუფი. ლენინი შორეული რუსეთის სხვადასხვა მხარეებში, სტალინი ამირკავკასიაში რაზმავენ პროლეტარიატს მჩაგვრელთა წინააღმდეგ. 1905 წლის დეკემბერს ტამერფორსში პირველად ხვდებიან ერთმანეთს რევოლუციის ბელადები. შესანიშნავად აქვს გადმოცემული ეს მომენტი მხატვარ ი. ვეფხვაძეს. ასეთივე მაღალი ოსტატობით აქვს აღბეჭდილი თავის სურათში მხატვარ ა. ქუთათელაძეს ლენინისა და სტალინის შეხვედრა სტოკჰოლმის მეოთხე გაერიანობაზე.

იწყება რეაქციის უმაკრესი წლები... ლენინი ხან რუსეთში, ხან საზღვარგარეთ დაფილულად ემსახურება მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს. სტალინი ამ დროს ბაქოში აწარმოებს თავის მგზნებარე რევოლუციურ მუშაობას.

რა ამაღელვებლად გაისმის სტალინის სიტყვები ბაილოვის ციხის საკნიდან, როცა ის მიმართავდა ხელ-ფეხში ბორკილდადებულ პოლიტიკურ პატიმრებს: „გაუფრთხილდით ბორკილებს, მეფის ჯალათებისათვის გამოგადგებათ“. და მართლაც, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ სამუდამოდ დალეწა მჩაგვრელთა მონობის ბორკილი, მშრომელ ხალხს მოუტანა თავისუფლება და ბედნიერება.

1917 წლის 26 ოქტომბერი... საბჭოების მეორე ყრილობა... ტრიბუნაზეა ლენინი, რომელმაც სტალინთან ერთად შეიმუშავა ოქტომბრის აჯანყების გეგმა, დარაზმა მშრომელები მჩაგვრელთა წინააღმდეგ და სრულ გამარჯვებამდე მიიყვანა ისინი.

ყრილობამ მიიღო სამი დეკრეტი, გამარჯვებული ხალხის პირველი სამი კანონი — ხელისუფლების, ზავისა და მიწის შესახებ. დაიწყო ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების პირველი ნაბიჯები და საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის ბრძოლა...

ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დათვალიერება უდიდეს ინტერესს იწვევს მშრომელებში. ამ მუზეუმისაკენ მოისწრაფვიან არა მარტო საქართველოს, არამედ აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელთა დელეგაციები. შთაბეჭდილებათა წიგნში ნახავთ სამამული ომის მონაწილე ტანკისტთა ჯგუფის, ყაზანის სუვოროვის სახელობის სასწავლებლის მოწაფეთა ჯგუფის, დონბასელი მეშახტეების, სტუდენტების, კოლმეურნეების, ლიტერატორის, ხელოვნებისა და მეცნიერების მუშაკთა აღფრთოვანებულ ჩანაწერებს. ისინი უდიდეს კმაყოფილებას გამოთქვამენ იმ დიდი მუშაობის გამო, რომელიც თავისი არსებობის ერთი ათეული წლის მანძილზე გასწია მუზეუმმა, მადლობას უძღვნიან დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას, რომლის ინიციატივითაც შეიქმნა ბოლშევიკური პარტიის დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი ეს შესანიშნავი მუზეუმი.

მრავალი ექსკურსანტი მიდის ფილიალის განყოფილებებშიც — ავლაბარში, გორში, ბათუმში, ქუთაისსა და ჭიათურაში. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი და მისი განყოფილებანი ლენინიზმის პროპაგანდის მძლავრი კერებია. დაარსების დღიდან ფილიალი და მისი განყოფილებანი დათვალიერეს 2 მილიონზე მეტმა კაცმა. ყოველწლიურად ძლიერდება ინტერესი მუზეუმისადმი.

მუზეუმში გაჩაღებულია ლექციური პროპაგანდა, ეწყობა ექსკურსიები სტალინური მარშრუტით. მუზეუმი აერკვევს დოკუმენტებისა და მასალების პარტიულ ორგანიზაციებში, რითაც დიდ დახმარებას უწევს მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელ ამხანაგებს.

ათვალიერებთ ლენინის მუზეუმის ექსპონატებს, თვალს აკვლებთ საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებებს და არ შეიძლება არ გაიმეოროთ ვლადიმერ მაიაკოვსკის მგზნებარე სიტყვები:

„ლენინი ცოცხლობდა,
ის ახლაც ცოცხალია
და იცოცხლებს კვლავაც“.

ელ. უბილავა

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი გორკაში (1922 წ.).

ლენინგორი

მთის ფერდობებზე მოჩანან ძველისძველი ციხე-სიმაგრეები. გაშლილ ჭალაში მშვიდად მოედინება ქსანი. ფართო გზატეკილი მიუყვება ულამაზეს ხეობას. გზაზე განუწყვეტლივ მოძრაობენ ავტომანქანები.

ჭალარა თანამგზავრი მოგვითხრობს: — ახლაც კარგად მახსოვს, ურემს კასპისაკენ რომ დავძრავდით, თან რამდენიმე მკლავმაგარი ვაჟკაცი უნდა გამოჰყოლოდა, რომ ვიწრო და ოღრო-ჩოღრო გზიდან არ გადაეხვიოყო ურემი. შეხედეთ, ახლა გზაც კარგი გვაქვს!

იმ ადგილზე, სადაც ლენინგორია გაშენებული, მდინარე ქსანს არაერთხელ უცვლია კალაპოტი, გაუფართოებია ვეები, რომელიც ახლა ხეხილის ბაღებით არის დაფარული.

რაიონულ ცენტრში მისვლისთანავე ყურადღებას იპყრობს საშუალო სკოლის ახლადაშენებული შენობა. აქ ასობით ლენინგორელი ბიუსტი და გოგონა სწავლობს. ძველთა ვინ იფიქრებდა ეზრუნა მშრომელთა განათლებაზე. აქ ვინმეს წერილი რომ მიეღო, კვირაობით სახლში გაუხსნელი უნდა სდებოდა, რადგან წერა-კითხვის მცოდნეს ვერ ნახავდა, წერილი რომ წაეკითხვინებინა. ახლა კი უცოდინარს ვეღარ ნახავთ. დიდი უბედურების მომამზადებელი იყო წინათ ლენინგორში ადამიანის ავად გახდომა. არ იყო ექიმი. ლუკმა-პურის მონატრულ მშრომელს კი სად შეეძლო შორეული ქალაქიდან მოეყვანა ის. ახლა აქ მშვენიერი საავადმყოფო მოუწყვიათ. აქვეა საექიმო პუნქტი. არის რაიონული კლუბი, რომელთანაც არსებული დრამატული წრე სისტემატურად აწყობს სალამო-წარმოდგენებს. რაიონულ ბიბლიოთეკას უამრავი წიგნი და ჟურნალ-გაზეთი აქვს. აქ ზმირად იკრიბებიან ლენინგორელები.

ლენინგორს საკუთარი ელექტროსადგური აქვს. ილიჩის ნათურები ციმციმებენ ქსნის სანაპიროზე, ახლად გაყვანილ ქუჩებში, ბინებში.

ახლად მოწყობილმა წყალსადენმა მთის ანკარა წყალი რამდენიმე კილომეტრის მანძილიდან მოაწოდა ლენინგორს.

ქუჩების ნაპირზე დარგულია ასობით ძირი დეკორაციული მცენარე. იმ შენობის მახლობლად, რომელშიც მოთავსებულია პარტიის რაიკომი და რაიაღმასკომი, ლამაზ ფერდობზე ახლად მოწყობილ სკვერში დგას დიდი ლენინის ძეგლი.

გვიან ღამემდე ჩანს ელექტროშუქი რაიკომის პარტიული კაბინეტიდან, აქ რაიონის მოწინავე ადამიანები თავდადებული შრომის შემდეგ გულმოდგინედ სწავლობენ ბოლშევიზმის დიად მოძღვრებას. ღამეში იმავე საბჭედ მანქანის ხმაური, დილით მშრომელები მიიღებენ რაიონული გაზეთის „სტალინელის“ ახალ ნომერს, რომელიც მკითხველს მოუთხრობს იმ რაონის მჩქეფარე და შინაარსიანი ცხოვრების შესახებ, რომელიც დიდი ლენინის სახელს ატარებს.

ვ. გელაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

პროპაგანდა დიადი ცხოვრების მაგალითით

შარშან დამავალეს მეხელმძღვანელებინა სასპორტო იარაღების ქარხანაში შექმნილი ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრისათვის. უადრესად მიმზიდველია ხალხთა დიდი ბელადების ცხოვრება და მოღვაწეობა. საპატიო საქმეა ეწოდოს ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების პროპაგანდას, ლენინიზმის პროპაგანდას.

მეცადინეობის გეგმა მივიღე, სახელმძღვანელოები, საჭირო დამხმარე მასალები, ალბომები და ფოტოსურათები შევაგროვე. ხელი მოვკიდე ლენინისა და სტალინის ნაშრომების ხელახლად შესწავლას.

მსმენელები პირველი დღიდანვე მონდომებით შეუდგნენ მეცადინეობას.

ლენინისა და სტალინის ცხოვრების მაგალითმა, მათმა თავგანწირვამ, პირადი ინტერესების საზოგადოებრივი ინტერესებისათვის დაქვემდებარებამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. მათ არც ერთი მეცადინეობა არ გაუცდენიათ. დღემდე 14 თემა გვაქვს გავლილი.

ამას წინათ მეცადინეობა გვქონდა თემაზე: „ამხანაგი სტალინი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში“. ამ პერიოდის მასალამ ნათელი სურათი მისცა მსმენელებს, თუ როგორი შეუპოვრობით მიჰყავს დიდ სტალინს ჩვენი ქვეყანა ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, როგორ გენიალურად ჭვრეტს ის ქვეყნის შემდგომი განვითარების გზებს, როგორ გამოარჩევს ბელადი მომენტის ძირითად ამოცანებს, სახალხო მეურნეობის მთლიანი ჯაჭვის ძირითად რგოლებს. ამ თემის გავლისას მსმენელები გაეცნენ აღდგენითი პერიოდის დასასრულს. მათ გაიგეს, თუ როგორ რაზმავს პარტია, ამხანაგი სტალინი საბჭოთა ხალხს სიძნელეთა გადალახვისათვის, როგორ გაანადგურა პარტიამ ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით ტროცკისტ-ზინოვიეველთა კონტრრევოლუციური ბლოკი, როგორ ახორციელებს იგი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დიად პროგრამას.

როცა წრეში გავლილი მასალის გარშემო ვსაუბრობთ, მსმენელნი ერთმანეთს ეცილებიან ამ დიადი ადამიანების რევოლუციური მოღვაწეობის ამბების თხრობაში. ყველა მსმენელს შედგენილი აქვს კონსპექტი. საუბარში განსაკუთრებით ღრმა ცოდნას ამჟღავნებენ მსმენელები ბ. რუხაძე, მ. შალტაური, ბ. ცაბაია, ა. აგაჯანოვი, ვ. ლაზუტინი, ლ. სხვახჩიანი, მაისურაძე.

მალე მთლიანად შევიისწავლით პროგრამით გათვალისწინებულ მასალას ხალხთა დიდი ბელადების ცხოვრების, მათი რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ.

სასპორტო იარაღების ქარხნის კომუნისტებები და უპარტიო მუშები, შეიარაღებულნი ლენინისა და სტალინის დიადი იდეებით, შემდგომშიც შეუნელებლად იმუშავებენ თავიანთი თეორიული დონის ამაღლებისათვის, რაც მათ ხელს შეუწყობს ახალ საწარმოო გამარჯვებათა მოპოვებაში.

ვ. გუნია

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრის პროპაგანდისტი

ცხოველმყოფელი ძალა

დიდი სურვილი მქონდა შემესწავლა ბიოგრაფია იმ ადამიანისა, რომელმაც საუკუნეობრივი ჩაგვრისაგან იხსნა მშრომელები. და აი, ჩვენს ფაბრიკაში შეიეძახა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრე. ჩავეწერე წრეში და მონდომებით მოვკიდე ხელი მეცადინეობას. ჩემთვის ცხადი გახდა, რომ დიდი ბელადების ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის მასალები მთელი სისტემაა მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში ცოდნის შესაძენად.

წრეში გავლილი მასალების მეხსიერებაში განსამტკიცებლად სამჯერ დავთვალიერე ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი. მუზეუმის მასალებში მკაფიოდ არის ასახული ლენინისა და სტალინის ბრძოლა ბოლშევიკური პარტიის შესაქმნელად, ნაჩვენებია თუ რა გაბედულად და მტაცედ მიჰყავდათ რევოლუციის დიდ გენიოსებს ლენინსა და სტალინს პარტია და მუშთა კლასი სოციალისტური რევოლუციისაკენ, შეიარაღებული აჯანყების განსახორციელებლად.

დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის მდიდარი რევოლუციური მოღვაწეობის შესწავლა ახალ ენერგიას, ახალ ძალას მმატებს, მიტ პასუხისმგებლობას მაგრძნობინებს ჩემს სამუშაო უბანზე. ლენინმა მთელი თავისი დიადი სიცოცხლე მშრომელთა ინტერესებს, ჩვენს საქმეს მოახმარა, და ჩვენც, ლენინის საქმის უსაზღვროდ ერთგულები, ყოველთვის მზადა ვართ ენერგია არ დავიშუროთ ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი სოციალისტური სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის.

მაუდის ფაბრიკაში მისი დაარსების დღიდან ვმუშაობ. ჩემს მუშაობას სულ სხვა აზრი და მნიშვნელობა მიეცა მას შემდეგ, რაც რევოლუციური თეორიის შესწავლას მოვკიდე ხელი. ახლა ორ სართავ მანქანას ვემსახურები. დავალებებს ყოველთვის გადაჭარბებით ვასრულებ. 1948 წლის გეგმა სექტემბერში გავანაღდე, ხოლო წლის ბოლოსათვის გეგმის გადამეტებით 10.381 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ნართი დავამზადე. ამჟამად ვიბრძვი ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესასრულებლად. საზოგადოებრივ და პარტიულ ცხოვრებაშიც აქტიურად ვმონაწილეობ. ახლახან ჩატარებულმა თბილისის საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატად ამირჩია. რიგითი მუშა ქალის აქტივობა მარტო სოციალისტურ სახელმწიფოში, იმ ქვეყანაშია შესაძლებელი, რომელსაც ხელმძღვანელობს კაკობრიობის დიდი გენიოსი, ბრძენი სტალინი, სადაც ხარცი შეეხსა ლენინის დიად იდეებს.

ნადეჟდა ზარაძუა

თბილისის მაუდის ფაბრიკის სტახანოველი მრთველი

ლენინიზმის ჭრიუმფი

ოდესღაც სოციალიზმის იდეები მხოლოდ პროგრესულად მოაზროვნე ცალკეულ ადამიანთა გონებაში არსებობდნენ. სოციალიზმი მაშინ ბუნდოვანი, ფანტასტიკური სახით ეხატებოდათ ძოწინავე მოაზროვნეებს. იმ დროს, კაპიტალიზმის გარიჟრაჟზე, პროლეტარიატის შეუგნებელი, გაუბედავი ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, განუვითარებელ, მოუმწიფებელ სოციალისტურ იდეებს ბადებდა. პირველი სოციალისტური მოძღვრება თავისი შინაარსით უტოპიური იყო, მას არ შეეძლო ბრძოლის ჟეშმარიტი ლოზუნგი მიეცა მუშათა მასებისათვის. უტოპისტების მოძღვრება უგულებელყოფდა სოციალისტური იდეალების ბუნებრივ მატარებელს — პროლეტარიატს. უტოპისტებს,—ამბობს ამხანაგი სტალინი, — „უნდოდათ ბედნიერება დაემყარებინათ ამ ქვეყნად კანონმდებლობით, დეკლარაციებით, თვით ხალხის (მუშების) დაუხმარებლივ. თვით მუშათა მოძრაობას არ აქცევდნენ ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას და ზრნად კიდევაც უარყოფდნენ მის მნიშვნელობას. ამის გამო მათი თეორიები რნებოდნენ მხოლოდ თეორიებად, თავზევით ეკიდებოდნენ მუშათა მასას“ (ი. სტალინი, თხზ., ტ. I, გვ. 12). უტოპიური სოციალიზმის იდეები უნიადაგნი იყვნენ, ისინი განწირული იყვნენ დამარცხებისათვის, და დამარცხდნენ კიდეც.

სულ სხვა საფუძველზე წარმოიშვა მეცნიერული სოციალიზმი. ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის წინააღმდეგობის ზრდამ, მუშათა მოძრაობის დაწყებამ მეცნიერულად შემუშავებული და დასაბუთებული სოციალიზმის თეორია წარმოშვა. ამ თეორიის შემქმნელები იყვნენ დიდი რევოლუციონერები, გენიალური მოაზროვნეები კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რომლებიც გაემოჯნენ მუშათა კლასის მტრების იდეოლოგიას, დადგნენ მუშების მხარეზე და მთელი თავიანთი სიცოცხლე მათი განთავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირეს.

მარქსმა და ენგელსმა ჰომოაჩინეს საზოგადოებრივი განვითარების კანონები, მეცნიერულად დაასაბუთეს ბურჟუაზიული საზოგადოების დამხობის და კომუნისტური საზოგადოების გამარჯვების ისტორიული აუცილებლობა.

მარქსისტული თეორიის შექმნა უდიდეს რევოლუციურ გადატრიალებას წარმოადგენდა კაცობრიობის აზროვნებაში. იგი საზოგადოების მატერიალურ ცხოვრებაში დიდი რევოლუციური გადატრიალების იდეური წინამორბედი იყო.

მარქსი და ენგელსი მეცნიერული სოციალიზმის თეორიის ძალასა და უძლეველობას მუშათა მოძრაობასთან, მის მჭიდროდ დაკავშირებაში ხედავდნენ. ისინი პირველნი იყვნენ, რომლებმაც საძირკველი ჩაუყარეს პროლეტარიატის პარტიას და აუწყეს მთელ ქვეყანას: „მუშათა კლასის განთავისუფლება უნდა მოხდეს თვით მუშათა კლასის ხელით... პროლეტარები ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

მარქსისტული თეორია წარმოადგენდა იდეურ დასაყრდენს, მძლავრ ბერკეტს, რომლის მომაჯავკვნით უნდა გარდამქნილიყო კაპიტალისტური სამყარო. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო უწინარეს ყოვლისა მეცნიერული სოციალიზმის იდეების შეერთება მუშათა მოძრაობასთან.

მარქსისტული თეორია ბადებდა ფილოსოფიას, გასაოცარი გამბედაობის უბადლო მაგალითებით არის აღსავსე ლენინისა და სტალინის მთელი ცხოვრება. აი, ლენინური „ისკრის“ პირველი ნომერი, აქვე კავკასიელ „ისკრელთა“ ჯგუფი. ლენინი შორეული რუსეთის სხვადასხვა მხარეებში, სტალინი ამირკავკასიაში რაზმავენ პროლეტარიატს მჩაგვრელთა წინააღმდეგ. 1905 წლის დეკემბერს ტამერფორსში პირველად ხვდებიან ერთმანეთს რევოლუციის ბელადები. შესანიშნავად აქვს გადმოცემული ეს მომენტი მხატვარ ი. ვეფხვაძეს. ასეთივე მაღალი ოსტატობით აქვს აღბეჭდილი თავის სურათში მხატვარ ა. ქუთათელაძეს ლენინისა და სტალინის შეხვედრა სტოკჰოლმის მეოთხე გაერიანობაზე.

იწყება რეაქციის უმაკრესი წლები... ლენინი ხან რუსეთში, ხან საზღვარგარეთ დაფილულად ემსახურება მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს. სტალინი ამ დროს ბაქოში აწარმოებს თავის მგზნებარე რევოლუციურ მუშაობას.

რა ამაღელვებლად გაისმის სტალინის სიტყვები ბაილოვის ციხის საკნიდან, როცა ის მიმართავდა ხელ-ფეხში ბორკილდადებულ პოლიტიკურ პატიმრებს: „გაუფრთხილდით ბორკილებს, მეფის ჯალათებისათვის გამოგადგებათ“. და მართლაც, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ სამუდამოდ დალეწა მჩაგვრელთა მონობის ბორკილი, მშრომელ ხალხს მოუტანა თავისუფლება და ბედნიერება.

1917 წლის 26 ოქტომბერი... საბჭოების მეორე ყრილობა... ტრიბუნაზეა ლენინი, რომელმაც სტალინთან ერთად შეიმუშავა ოქტომბრის აჯანყების გეგმა, დარაზმა მშრომელები მჩაგვრელთა წინააღმდეგ და სრულ გამარჯვებამდე მიიყვანა ისინი.

ყრილობამ მიიღო სამი დეკრეტი, გამარჯვებული ხალხის პირველი სამი კანონი — ხელისუფლების, ზავისა და მიწის შესახებ. დაიწყო ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების პირველი ნაბიჯები და საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის ბრძოლა...

ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დათვალიერება უდიდეს ინტერესს იწვევს მშრომელებში. ამ მუზეუმისაკენ მოისწრაფვიან არა მარტო საქართველოს, არამედ აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელთა დელეგაციები. შთაბეჭდილებათა წიგნში ნახავთ სამამული ომის მონაწილე ტანკისტთა ჯგუფის, ყაზანის სუვოროვის სახელობის სასწავლებლის მოწაფეთა ჯგუფის, დონბასელი მეშახტეების, სტუდენტების, კოლმეურნეების, ლიტერატორის, ხელოვნებისა და მეცნიერების მუშაკთა აღფრთოვანებულ ჩანაწერებს. ისინი უდიდეს კმაყოფილებას გამოთქვამენ იმ დიდი მუშაობის გამო, რომელიც თავისი არსებობის ერთი ათეული წლის მანძილზე გასწია მუზეუმმა, მადლობას უძღვნიან დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას, რომლის ინიციატივითაც შეიქმნა ბოლშევიკური პარტიის დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი ეს შესანიშნავი მუზეუმი.

ბრაზილიელ ექსკურსანტი მიდის ფილიალის განყოფილებებშიც — ავლაბარში, გორში, ბათუმში, ქუთაისსა და ჭიათურაში. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი და მისი განყოფილებანი ლენინიზმის პროპაგანდის მძლავრი კერებია. დაარსების დღიდან ფილიალი და მისი განყოფილებანი დათვალიერეს 2 მილიონზე მეტმა კაცმა. ყოველწლიურად ძლიერდება ინტერესი მუზეუმისადმი.

მუზეუმში გაჩაღებულია ლექციური პროპაგანდა, ეწყობა ექსკურსიები სტალინური მარშრუტით. მუზეუმი აერკვევს დოკუმენტებსა და მასალებს პარტიულ ორგანიზაციებში, რითაც დიდ დახმარებას უწევს მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელ ამხანაგებს.

ათვალიერებთ ლენინის მუზეუმის ექსპონატებს, თვალს აკვლებთ საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებებს და არ შეიძლება არ გაიმეოროთ ვლადიმერ მაიაკოვსკის მგზნებარე სიტყვები:

„ლენინი ცოცხლობდა,
ის ახლაც ცოცხალია
და იცოცხლებს კვლავაც“.

ელ. უბილავა

ლენინიზმი — ეს ეს ... ...

აჭარის XIX საოლქო პარტიული კონფერენცია

საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის XIX საოლქო კონფერენციამ მოიმენა პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. კ. ბეჭვაიას საანგარიშო მოხსენება.

მოხსენების დასაწყისში ამხ. ბეჭვაიამ ილპარაკა იმ მუშაობის შესახებ, რომელიც დიდი სამამული ომის დღეებში გასწია აჭარის პარტიულმა ორგანიზაციამ.

— აჭარის მშრომელები, — ამბობს შემდეგ მოხსენებელი, — წარმატებით ასრულებენ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის დავალებებს. განსაკუთრებით დიდი მიღწევებია მოპოვებული გასულ სამეოთხედ წელს რესპუბლიკის მრეწველობაში. საკავშირო და საკავშირო რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებმა წლიური გეგმა შესრულეს 104,3 პროცენტით, ხოლო ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა — 106 პროცენტით. 1947 წლთან შედარებით შარშან რესპუბლიკის საწარმოებმა 21 მილიონი მანეთით მეტი პროდუქცია მისცეს ჩვენს ქვეყანას, ამასთან ვალდებულებით ნაკისრი 19 მილიონის ნაცვლად 24 მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მოგვცეს. საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის კარგად მუშაობენ სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივი, მომთუთიებელი ქარხანა, სამკერვალო ფაბრიკა, ქობულეთის ტუნგოს ზეთსახდელი ქარხანა, ბათუმისა და ბობოყვათის ჩაის ფაბრიკები და სხვ.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს საწარმოთა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე: ტექნოლოგიური პროცესების დარღვევის შემთხვევებზე, წარმოების კულტურის ამაღლების საკითხებზე და სხვ.

— საანგარიშო პერიოდი, — აცხადებს შემდეგ მოხსენებელი, — ხასიათდება სერიოზული წარმატებებით კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების, მოსავლიანობის შემდგომი ზრდის საქმეში. თუ 1940 წელს კოლმეურნეობებში წარმოების ძირითად საშუალებათა ღირებულება შეადგენდა 65.289 ათას მანეთს, 1947 წელს მან 168.455 ათას მანეთს მიაღწია. სამეკვი გადიდდა კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები, ხოლო ორნახევარჯერ — ფულადი შემოსავალი. იზრდება კოლმეურნეობა, ხოლო ორნახევარჯერ — ფულადი მატერიალური კეთილდღეობა. შარშან აჭარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიიღეს ჩაის, ციტრუსების, თამბაქოსა და სხვა კულტურების უხვი მოსავალი. მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 9.919 ტონა ჩაის ფოთოლი, ანუ 2.300 ტონით მეტი, ვიდრე 1947 წელს. სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ღირსეულად შეასრულეს ბელადისათვის მიცემული პირობა და ვალდებულების გადამეტებით მოკრიფეს 1.200 ტონა ჩაის ფოთოლი. წარმატებით იმუშავეს ციტრუსების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. მათ გასულ წელს სახელმწიფოს ჩააბარეს 500 მილიონ ცალზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი. მიღწეული უფრო მეტი იქნებოდა, — ამბობს შემდეგ ამხ. ბეჭვაია, — პლანტაციების მოვლა-პატრონობის საქმე ყველგან სრულ წესრიგზე რომ იყოს.

ლაპარაკობს რა ქალაქ ბათუმის, რაიონული ცენტრებისა და სოფლების კეთილმოწყობის საკითხებზე, მომხსენებელი აცხადებს, რომ ამ დარგში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. შემდეგ იგი ახასიათებს კულტურის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგებში გაწეულ მუშაობას და მოჰყავს მიღწეულ წარმატებათა კონკრეტული მაგალითები.

— საანგარიშო პერიოდში, — ლაპარაკობს შემდეგ ამხ. ბეჭვაია, — მნიშვნელოვნად უიაზრდა და განმტკიცდა აჭარის პარტიული ორგანიზაცია. 1940 წელთან შედარებით თითქმის ერთიოროად გაიზარდა კომუნისტთა რიცხვი. პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ მუშაობას ეწევიან პარტიული პროპაგანდისა და მთელი იდეოლოგიური მუშაობის დონის ამაღლებისათვის. 5.300 კომუნისტი დამოუკიდებლად სწავლობს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. 4 ათასზე მეტი კომუნისტი პარტიული განათლების სხვა და სხვა ფორმაშია ჩაბმული. რეგულეტიური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა დასახმარებლად ორი წლის მანძილზე 1.800 მეტი ლექციი იქნა წაკითხული, რომლებსაც 90 ათასამდე კაცი დაესწრო.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებებს, საგიტაციო-მასობრივი მუშაობის, კომკავშირიასადი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებს.

— აჭარის პარტიული ორგანიზაცია, —სთქვა დასასრულ ამხ. ბეჭვაიამ, — აღზრდილი სახელოვანი სტალინელის ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიერ სტალინურ ტრადიციებზე, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით კვლავაც ღირსეულად შეასრულებს მის წინაშე დასახულ ამოცანებს.

სარეფერენდუმო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ვ. დოლიძის საანგარიშო მოხსენების შემდეგ გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 26 ამხანაგმა, მათ შორის სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დირექტორმა ამხ. ზ. ფირიაშვილმა, რკინიგზის კვანძის პარტკომის მდივანმა ამხ. გ. თოთობაძემ, ჩაქების საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ამხ. კ. გოგიაშ, აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა ამხ. ფ. დუმბაძემ, პარტიის ხულოს რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ტრაპაიძემ, პარტიის ქედის რაიკომის მდივანმა ამხ. ო. ბერიძემ, აჭარის ასსრ განათლების მინისტრმა ამხ. მ. ნაკაიძემ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მ. ბოგოლიუბოვმა და სხვებმა.

დელეგატებმა ილპარაკეს საანგარიშო პერიოდში პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეულ მუშაობაზე, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგებში მოპოვებულ წარმატებებზე, აბხილეს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

კონფერენციამ საოლქო კომიტეტის პოლიტიკური ხაზი ცნო სწორად, პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად, მიიღო რეზოლუცია, აირჩია საოლქო კომიტეტისა და სარეფერენდუმო კომისიის შემადგენლობა და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატები.

კონფერენციამ უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება ამხანაგ სტალინისადმი. მისალმებანი გაეგზავნათ დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლებს ამხანაგებს — ვ. მ. მოლოტოვსა და ლ. პ. ბერიას და საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანს.

შედგა ახლად არჩეული საოლქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. კ. ბეჭვაია, მეორე მდივნად—ამხ. ნ. ნიკარაძე. საოლქო კომიტეტის მდივნებად აირჩეული არიან ამხ. მ. კალანდაძე და ამხ. მ. კუბლაშვილი.

გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორად პლენუმმა დაამტკიცა ამხ. ა. კელენჯერიძე, გაზეთ „ბატუმსკი რაბოჩის“ რედაქტორად—ამხ. ა. ბაღათურია.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ვ. გოგუა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების წარმომადგენელი ამხ. ნ. შუბინი. **(საკ. კორ.).**

ამომრჩეველთა შეხვედრა სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატებთან

გუშინ კომბინატ „კომუნისტის“ კლუბში შეიკრიბა ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების № 21 საარჩევნო ოლქის სამასამდე ამომრჩეველი.

სიტყვას ამბობს ამომრჩეველი დიასახლისი ო. ჭიჭინაძე.

— მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს, სამედიცინო ინსტიტუტისა და სხვა ორგანიზაციების თანამშრომელთა საერთო კრებებმა სახალხო მოსამართლის კანდიდატად დაასახელეს ამხ. სერგი მელიტონის-ძე გაბელაია. იგი მრავალი წელია მუშაობს პროკურატურის, სახალხო სასამართლოს ორგანოებში და მტკიცედ ახორციელებს საბჭოთა მართლმსაჯულებას. ამხ. ჭიჭინაძემ ამომრჩეველს მოუწოდა 6 თებერვალს ყველამ ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ღირსეულ კანდიდატს—მ. გაბელაიას.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან — რაიონის პროკურორი ა. გოკიელი, ამომრჩეველი თ. ლომია, ფარულავა და სხვ. ისინი ახასიათებენ სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატებს. სახალხო მსაჯულთა კანდიდატებმა კ. ნოზაძემ, აბუთიძემ და სხვ. მადლობა გადაუხადეს ამომრჩეველებს ნდობისათვის და პირობა მისცეს მათ, რომ მოგებულ ერთგულად მოემსახურებიან მშრომელთა საქმეს.

სიტყვას ამბობს სახალხო მოსამართლის კანდიდატი ამხ. ს. გაბელაია.

— ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, — აცხადებს იგი, — რომ გავამართლო ხალხის ნდობა, ღირსეულად ვემსახურები ჩემს საყვარელ სამშობლოს.

ᲓᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲛᲝᲜᲓᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲖᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ

ᲣᲚᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲠᲘ, 19 იანვარი. (საკდესი). ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთები ბეჭდავენ ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 25-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სტატიებს. გაზეთი „უნენი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მონღოლი ხალხი მეგობრობა და ეანგარელად მიდის ლენინის მიერ დასახელი გზით, და რომ საბჭოთა ხალხის მეგობრობა და უანგარო დახმარება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის განვითარებისა და აყვავების უმნიშვნელოვანესი წყაროა.

ულან-ბატორის ცენტრალურ კინოთეატრში უჩვენებენ საბჭოთა კინო-ფილმებს—„ლენინი ოქტობერში“, „ლენინი 1918 წელს“, „ფიეტი“ დ. სხვები. სეანსების დროს დარბაზი გაჭედილია მაყურებლებით.

ᲠᲣᲛᲘᲜᲘᲐ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 19 იანვარი. (საკდესი). ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების 25-ე წლისთავთან დაკავშირებით რუმინეთის უდიდესი გამომცემლობანი ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს უშვებენ რუმინულ ენაზე. მაგალითად, რუმინეთის მუშათა პარტიის გამომცემლობა უშვებს ვ. ი. ლენინის რჩეულ თხზულებათა პირველ ტომს, მის ბიოგრაფიას და ი. ბ. ტალინის წიგნს ვ. ი. ლენინის შესახებ. ლენინის შესახებ მთელ რიგ წიგნებს გამოუშვებს გამომცემლობა „კარტა რუსა“.

რუმინეთ-საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ინსტიტუტში გაიმართება რუმინეთის მუშათა პარტიის პოლიტბიუროს წევრ მირონ კონსტანტინესკუს მოხსენება თემაზე: „ლენინი და შემეცნების თეორია“. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებანი გაიმართება ბუქარესტის საწარმოებსა და პროვინციაში.

რუმინეთის გაზეთები ბეჭდავენ ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ მცირე სტატიას.

ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲗᲘ

ᲓᲔᲚᲘ, 19 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „პიპლზ ეიჯი“ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილ სტატიაში წერს: „ლენინი ყველა დროისა და ყველა ხალხის უდიდესი გენიოსია. ლენინის სახელი და მისი მოძღვრება სიუკუნეების განმავლობაში იცოცხლებს, ლენინი ცოცხლობს საბჭოთა ადამიანებისა და მთელი მსოფლიოს ჩაგრულ ხალხთა შეგნებასა და გულში. ლენინის სახელი აღაფრთოვანებს ყველა ქვეყნის მუშათა კლასსა და შრომელთ ტირანიის წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის, ბედნიერებისათვის, კომუნიზმისათვის საბრძოლველად“.

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲨᲔᲯᲔᲠᲙᲕᲘᲡᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲡᲮᲓᲘᲡᲐᲖᲔ

ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲣᲐᲠᲘ ᲗᲘᲗᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲠᲘᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲜᲓᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 19 იანვარი. (საკდესი). დღეს ინგლისისა და ამერიკის დელეგაციებმა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელ ბიუროს სხდომაზე, რომლებსაც მეთაურობენ დიკინი და კერი, ბურეეკი პოლენდის პროფკავშირთა მემართველე გიერთიანენის ხელმძღვანელმა კუბერსმა დატოვეს აღმასრულებელი ბიუროს სხდომის დარბაზი. დიკინმა გააკეთა შემდეგი განცხადება: „ჩვენ მოვთხოვდით კენენს ეყოთან ჩვენი წინადადებისათვის პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ. სამმა დელეგაციამ (ინგლისის ტრედ-უნიონმა, ამერიკის შეერთებული შტატების საწარმოო პროფკავშირთა კონფერენსია და პოლენდის პროფკავშირთა დელეგაციებმა) ხმა მისცეს იმის სასარგებლოდ, რომ კენენი ეყოთან ინგლისის ტრედ-უნიონთა წინადადებისათვის (პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საქმიანობის ერთი წლით შეწყვეტის შესახებ. რედ.). დანარჩენებმა — უარი თქვეს კენენისაზე“.

კერიმ თავის მხრივ განაცხადა, რომ „პროფკავშირთა არავითარი მსოფლიო ფედერაცია არ არსებობს“.

აღმასრულებელი ბიუროს წევრებმა უარი თქვეს დამორჩილებოდნენ გამომავალთა დიტატს. აღმასრულებელი ბიუროს სხდომა გრძელდება.

ᲛᲐᲝ ᲫᲔ-ᲓᲣᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲛᲪᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ, 18 იანვარი. (საკდესი). როგორც სინხუას საააგენტო ეუწყება, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა გააკეთა განცხადება ახლანდელი მდგომარეობის შესახებ და თქვა:

„ორნახევარი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 1946 წლის იანვარში ნანკინის გომინდანურმა რეაქციულმა მთავრობამ ამერიკელ იმპერიალისტთა დახმარებით და ხალხის სურვილის წინააღმდეგ დაარღვია შეთანხმება დაზავების ხელმოწერის და პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს რეზოლუციები და მთელ ჩინეთში დაიწყო კონტრრევოლუციური სამოქალაქო ომი“.

ომის ამ ორ-ნახევარ წელიწადში,—აღნიშნა მაო ძე-დუნმა,—გომინდანის მთავრობამ ხალხის სურვილის წინააღმდეგ მიიწევა ფიქციური ეროვნული კრება და, გამოაქვეყნა რა ფიქციური კონსტიტუცია, გამოაცხადა ეგრეთწოდებული „ბობილიზაცია აჯანყების ჩასახშობად“.

„მაო ძე-დუნმა განაცხადა, რომ გომინდანურმა მთავრობამ „მთელი ეროვნული უფლებანი მიჰყიდა ამერიკის მთავრობას“, და დაწერილებთ შეეხო მთელენს, რომლებიც მოსცა გომინდანის მიერ დაზავების შეთანხმებისა და პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს გადაწყვეტილებათა დარღვევას.

„საშოკავლაკო ომმა, რაც ნანკინის გომინდანურმა რეაქციულმა მთავრობამ დაიწყო ჩინეთი რეაქციული სანინო და საგარეო პოლიტიკის შესაბამისად,—განაცხადა მაო ძე-დუნმა,—მთელ ჩინელ ხალხს მრავალი ტანჯვა მიაყენა“.

„გომინდანისაგან განსხვავებით,—განაგრძო მაო ძე-დუნმა, — ჩინეთის კომუნისტური პარტია იაპონელთა კატაკლიზმის შემდგომ პერიოდში ყოველივე შესაძლებელს აკეთებდა იმისათვის, რომ ეძიებინა გომინდანური მთავრობა შეეწყვიტა საშოკავლაკო ომი და დაეყარებინა მშვიდობა ჩინეთში“.

მაგრამ გომინდანმა „ომი დაიწყო ჩინელი ხალხის ნების წინააღმდეგ“ და „ჩინეთის კომუნისტურ პარტიას,—განაგრძო მაო ძე-დუნმა, — სხვა გამოსავალი არა ჰქონდა, გარდა იმისა, რომ გადაეჭრით გამოსულიყო გომინდანური რეაქციული მთავრობის პოლიტიკას წინააღმდეგ და დაეცვა ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობა და დემოკრატიული უფლებანი. ორნახევარი წლის განმავლობაში ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ მოსპო გომინდანური არმიის ძირითადი ძალები, ახლა,—აღნიშნა მაო ძე-დუნმა,—ვითარება სრულიად ნათელია: „სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ მხოლოდ რამდენიმე ძლიერი დარტყმა უნდა აგვიმის დარჩენილ გომინდანელ ჯარებს და გომინდანის მთელი რეაქციული მმართველი აპარატი მტვრად იქცეს. გომინდანური რეაქციული მთავრობა ამჟამად იმკის სამოქალაქო ომის თავისი პოლიტიკის ნაყოფს.

იმყოფება რა ასეთ მდგომარეობაში და სურს რა შეინარჩუნოს გომინდანური მთავრობის ძალების ნაშთები, მოიპოვოს დროებითი შესვენება და შემდეგ განაახლოს რევოლუციური ძალების მოსპობა, ჩან კაი-შინ ახალი წლის ღღეს სურვილი გამოთქვა საზაფხო მოლაპარაკება დაიწყოს ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან“.

გომინდანის მიერ წამოყენებული პირობები,—როგორც მაო ძე-დუნმა აღნიშნა,—საშოკავლაკო ომის განგრძობის და არა მშვიდობის დამყარების პირობებია. ხალხს სურს მშვიდობა. ჩინეთის კომუნისტური პარტია ემყარება ხალხის ასეთ სურვილს და შემდეგს აცხადებს:

„ჩინეთის სახალხო-დემოკრატიული არმიას გააჩნია საკმაო ძალები და საფუძველი, რათა უახლოეს მომავალში საბოლოოდ მოსპოს გომინდანური რეაქციული მთავრობის მთელი დარჩენილი შეიარაღებული ძალები. მაგრამ ომის უსწრაფესად დამთავრებისათვის, ნამდვილი მშვიდობის დამყარებისა და ხალხის მასების ტანჯვის შემსუბუქებისათვის ჩინეთის კომუნისტურ პარტიას სურს დაიწყოს საზაფხო მოლაპარაკება ნანკინის გომინდანურ რეაქციულ მთავრობასთან ან რომელიმე სხვა გომინდანურ ადგილობრივ მთავრობასთან ან საბჭოდრო ბლოკთან შემდეგი პირობების საფუძველზე:

1. საბჭოდრო დამნაშავეთა დასჯა, 2. ფიქციური კონსტიტუციის გაუქმება, 3. გომინდანის მიერ დაწესებული კანონიერების ტრადიციული ინსტიტუტების გაუქმება, 4. მეთი რეაქციული არმიების გარდაქმნა დემოკრატიულ პრინციპების შესაბამისად, 5. ბიუროკრატიული კაპიტალის კონფისკაცია, 6. აგარარული სისტემის რეფორმა, 7. გამეცმელურ ხელშეკრულებათა გაუქმება, 8. პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს მოწვევა მასში რეაქციული ელემენტების მიერ მონაწილეობის მიღებლად, რათა შეიქმნას დემოკრატიული კოალიციური მთავრობა, მიღებულ იქნას მთელი ძალაუფლება ნანკინის გომინდანური რეაქციული მთავრობისაგან და მისი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისაგან.

ჩინეთის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ ყველა ეს პირობა გამოხატავს მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხის საერთო ნებასა და სურვილს“.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲕᲐᲯᲒᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲨᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 19 იანვარი. (საკდესი). გუშინდელ დღის სხდომაზე ფედერალურ სასამართლო და მთავრობის პროკურორები მმართავდნენ წინანდელ ტაქტიკას და ეყუნებდნენ იურიდიულ საშუალებებს ბრალდებულთა უფლებების შესაზღუდავად და ამ პროცესის პოლიტიკური მნიშვნელობის შესამცირებლად.

მიუხედავად დამცველთა მკვეთრი წინააღმდეგობისა და იმ ფაქტისა, რომ კომპარტიის თავმჯდომარე ფოსტერი მთავარი მოწმეა ამ პროცესზე, ფედერალურმა მოსამართლემ მედინამ უბრძანა კომპარტიის 11 ხელმძღვანელს დაეუოფნებლივ გამოცხადებულიყვნენ სასამართლოში უფოსტერიდ. მოსამართლემ უარი თქვა მინიმალური ვადაც კი მიეცა იმისათვის, რომ დამცველებს შესაძლებლობა ჰქონოდათ მომზადებულიყვნენ. ამ გადაწყვეტილების მიღებით მედინამ უარყო დაკვეთა მკრეხელობისა, რომ მას ფედერალური სასამართლოს უფროსი მოსამართლე ნოქსისათვის გადაეცა დაკვეთა ახალი განცხადება, რომელშიც იგი საუბნოდ ხდის ამ სასამართლო ოლქში ნაფიც მსაჯულთა აუსამართლოს შექმნის მთელ სისტემას.

მას შემდეგ, რაც დაკვეთა ადვოკატმა გეოვენანმა გააპროტესტა მედინას ეს გადაწყვეტილება, ეს უკანასკნელი დათანხმდა ნება მიეცა გეოფსტეინისათვის ამ თხოვნით უშუალოდ მიმართოს მოსამართლე ნოქსს. მაგრამ ნოქსმა უარი თქვა მიეღო განცხადება, რის შემდეგ დამცველებმა ასეთივე განცხადება მეფრანს წარუდგინეს და მოითხოვეს, რომ იმ სხდომაზე, რომელზეც ეს საკითხი იქნება განხილული, თავმჯდომარედ იყოს ფედერალური მოსამართლე სხვა სასამართლო ოლქიდან.

გაჩადა ხანგრძლივი დისკუსია, რომელიც არ დამთავრებულა, და მედინამ ბოლოსდაბოლოს სხდომა გადადო.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲡᲠ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროსა და ბულგარეთის საგაჭრო დელეგაციას შორის მოლაპარაკების შედეგად, რაც მეგობრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, ამა წლის 18 იანვარს ხელმოწერილია ოქმი 1949 წლისათვის საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ.

1949 წელს საერთო საქონელბრუნვა სსრ კავშირსა და ბულგარეთს შორის 20 პროცენტით გადიდდება 1948 წელთან შედარებით; ამაში არ შედის იმ მოწყობილობის ღირებულება, რასაც საბჭოთა კავშირი ბულგარეთს აწვდის საკრედიტო შეთანხმებათა მიხედვით.

საბჭოთა კავშირი 1949 წელს ბულგარეთს მიაწვდის ნავთის პროდუქტებს, ბამბას, შავ და ფერად ლითონებს, დაზგებს, ტრაქტორებს, ავტომანქანებს, ხელოვნურ სასუქსა და სხვა საქონელს, რაც ბულგარეთის სახალხო მეურნეობას ესაჭიროება.

ბულგარეთი სსრ კავშირს 1949 წელს მოაწვდის თამბაქოს, ტყვიისა და თუთიის კონცენტრატებს, სპილენძის მადანს, ცემენტსა და სხვა საქონელს.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲗᲐ ᲠᲔᲖᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ

ᲐᲗᲝᲜᲘ, 18 იანვარი. (საკდესი). მეფემ პასუხი არ გასცა ოთხთა—ცალდარისის, ვენჩენელისს, პაპანდრეუს, კანელოპულოსის წინადადებას დიმიდისის მეთაურობით უბრალო უმრავლესობის მთავრობის შექმნის შესახებ და ფაქტიურად უარყო ეს წინადადება. თავისი მეიფინის მეშვეობით მეფემ აცნობა სამართლიანი პარტიების ყველა ლიდერს, რომ დღევანდელი დღის სალამის 8 საათამდე ისინი უნდა შეთანხმდნენ მთავრობის შექმნის შესახებ „მისი მამართვის მიხედვით“, ესე იგი ყველა პარტიისაგან, და დაუსახელონ მას ის პირი, რომელსაც საერთო თანხმობით უნდა დაეკისროს კაბინეტის შედგენა.

როგორც პოლიტიკურ და ეურნალისტთა წრეებში ფიქრობენ, სასაღლეს წინასწარ ჰქონდა იმედი, რომ ჩაიშლებოდა „საყოველთაო მთავრობის“ შექმნის ცდები. ამ გეგმამ ამის შესაძლებლობა უნდა მისცეს მეფეს, რომ განახორციელოს მთავრობის კრიზისის უკეე მზა გადაწყვეტა, რის შესახებაც მეფეს ნათქვამ მიქეს თავის მმართველში. ფიქრობენ, რომ სასახლისათვის ყველაზე სასურველი გადაწყვეტა იქნებოდა პრემიერ-მინისტრად ჰაპაგოსის დანიშვნა. ამასთან ერთად ფიქრობენ, რომ ამერიკელები, ჰაპაგოსის დიქტატურის გამო საზოგადოებრივ მსჯელობის ობიექტად, ყველაზე მოსახერხებლად ჩთვლიან პრემიერ-მინისტრად სოფოულისს ან სხვა „დემოკრატიულ პირის“ დანიშვნას იმ ვარაუდით, რომ ჰაპაგოსმა დაიკავოს სამხედრო მინისტრის ან სარდლის პოსტი და ზეცი ბეგლის ალმასიულებელი ძალაუფლება. მმართველობის ძირითადი საშუალებანი კი ყველა ვარიანტის მიხედვით ამერიკის საელჩოს ხელში დარჩება, თუმცა გამოიცალა არ არის, რომ ინგლისელებისადმი დაომბის საბით, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანს კვლავ აქტიურად ეძიებენ საბერძნეთის საქმეებში, მთავრობაში შეიყვანონ იქნება ჰაპაგოსიც.

ᲐᲗᲘᲜᲘ, 19 იანვარი. (საკდესი). მიღებული ოფიციალური ცნობის თანახმად, შეგდგმ სოფოულის დაავალა მთავრობის შედგენა. ცნობაში აგრეთვე ნათქვამია, რომ სოფოულიმ სურვილი გამოთქვა, რათა ვიეე-პრემიერად იყოს დიმიდისი, ხოლო მეფის ჯარების სარდლად—გენერალი ჰაპაგოსი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ᲤᲐᲚᲐᲜᲓᲐᲒᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ — 22-Ე ᲓᲦᲘᲡᲗᲕᲘᲡ — **„ᲒᲔᲒᲔᲜᲘ ᲝᲜᲔᲒᲘᲜᲘ“** (სპრეფის მონაწილეობით), საღამოს — **„ᲝᲗᲔᲚᲘ“** (4 ᲐᲗ. 7 ᲬᲐᲗ.);

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ—21-Ე **„ᲛᲔᲤᲔ ᲚᲔᲠᲘ“** (8 ᲡᲔᲠ. 5 ᲬᲐᲗ.), 22-Ე **„ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲣᲤᲝᲠᲜᲘᲚ“** (4 ᲡᲐᲗ. 5 ᲬᲐᲗ.);

ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ—21-Ე **„ᲠᲝᲜᲘᲜ ᲰᲘᲜᲒᲜᲘᲒ“** (12 ᲡᲔᲠ. 5 ᲬᲐᲗ.), 22-Ე ᲓᲦᲘᲡᲗᲕᲘᲡ **„1917 ᲬᲚᲘᲡ“**, ᲡᲐᲦᲐᲛᲝ—**„1917 ᲬᲚᲘ“** (1 ᲡᲔᲠ. 5 ᲬᲐᲗ.);

3. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ — 21-Ე **„ᲡᲐᲰᲛᲐᲗᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ“** (ᲐᲑ. ᲒᲐᲠᲯᲝᲨᲕᲘᲚᲘ), 22-Ე **„ᲜᲐᲗᲔᲚᲘ“** (ᲐᲑ. ᲒᲐᲠᲯᲝᲨᲕᲘᲚᲘ).

მე-5 შესატანის გადახდა ყველა ამბონენტებისათვის სავალდებულოა.

ზაქარია და თამარ ჩხუბიანიშვილები თანაყარნობას უცხადებენ გ. ი. კიკნაძეს მისი მეუღლის **თამარ თეოდოტის ასულ კიკნაძის** გარდაცვალების გამო.

ზ. ნ. კეცხოველი, ვ. მ. ბაქრაძე, ს. მ. იშხანოვი, კ. ს. ცინცაძერიძე, ვ. დ. კუპრაძე, ნ. მ. რუხაძე, გ. თ. კარანაძე, მ. დ. ჩუბინიანი, ო. ა. კეირეველი, გ. ა. ალეკიძე, მ. ₰. ჯაფარი, გ. მ. გორდეზიანი, გ. ა. რობაძეიანი, კ. მ. თარგამაძე თანაგრძნობას უცხადებენ გ. ი. კიკნაძეს მისი მეუღლის **თამარ თეოდოტის ასულ კიკნაძის** გარდაცვალების გამო.

გ. ე. ალავიძე, ა. ნ. რაფავა, გ. ა. გიორგაშვილი, გ. ა. ჯაბეკი, ს. ე. ანოველიძე, ლ. ა. რუხაძე, ა. თ. ხელიაძე, ი. ნ. ლაღიძე, მ. გ. მეშარნაშვილი, ვ. ე. სარიშვილი, ვ. ა. პაატაშვილი, ი. ზ. მონიავა, გ. ი. ხანთაძე, ვ. ა. ხატიაშვილი, ი. ს. ფოლიაქ თანაგრძნობას უცხადებენ გ. ი. კიკნაძეს მისი მეუღლის **თამარ თეოდოტის ასულ